საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასრაძე ჯემალ მიხეილის ძე

კასრაძე ჯემალ მიხეილის ძე (დ. 27. 1.1945, ქ. ცხინვალი), ფოტოხელოვანი, საქართვ. დამს. ჟურნალისტი (2018). 1975 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი ჟურნალისტიკის განხრით. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა სპორტულ ჟურნალსა და გაზეთებთან - ,,მართვე“, ,ლელო" „საქართველოს პარლამენტი“, „დილის გაზეთი“. საქართველოს რესპუბლიკა“, ,,დრონი". პარალელურად მუშაობდა საქართვ. პარლამენტში. მის ფოტო-კოლექციაში ინახება კადრები, რომლებიც მოიცავს ეროვნული მოძრაობის პერიოდს, მნიშვნელოვან სპორტულ, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პროცესებს. ,,ეროვნულ ფოტომატიანეს" ციფრულ არქივში კ-ის 7.000-მდე ფოტო ინახება.

კ. ავტორია წიგნებისა: ,,ჩიტებით სავსე ყუთი" (2006); ,,ვაჟა კაჭარავას ბიოგრაფია" (2011); ,,ჩემი დროის ადამიანები"(2011). ჰქონდა რამდენიმე პერსონალური ფოტო-გამოფენა (1999, 2012, 2014). არის ალ. როინაშვილისა (2014) და ი. მაჩაბლის (2019) პრემიების ლაურეატი.

2019 საქართვ. მწერალთა შემოქმედებითიო კავშირის მიერ ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მიენიჭა ,,ღვაწლმოსილის" წოდება.

თ. დოლიძე